

არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRIDC) ახორციელებს პროექტს „ქალების, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის ხელშეწყობა საქართველოს რეგიონებში“. პროექტი დაფინანსებულია ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI)-ის პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) ფარგლებში.

➤ ჩვენ ვეხმარებით

❖ **ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებს**, რომელთა უფლებები დაირღვა სახელმწიფო ინსტიტუტების ან/და კერძო პირების მხრიდან ეთნიკური ან რელიგიური ნიშნით. ჩვენ დისკრიმინაციის მსხვერპლ ადამიანებს დავიცავთ როგორც ადგილობრივ სასამართლოებში, ასევე ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში.

❖ **ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს**, რომლებმაც ვერ შეძლეს საქართველოს რესტიტუციის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა და დაკარგული ქონების დაბრუნება/აღდგენა.

❖ **ქალებს** - ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალბატონებს; ქალებს, რომელთაც უარი ეთქვათ მემკვიდრეობისა და საკუთრების უფლების გადაცემაზე; ვისაც ემუქრება იძულებითი ან ნაადრევი ქორწინება; ვინც გენდერული ნიშნით

გათავისუფლდა სამსახურიდან ან არ შეირჩა ვაკანტურ თანამდებობაზე; ვისაც დაერღვა განათლების უფლება; ვერ მიიღო ადეკვატური სამედიცინო ან სოციალური დახმარება.

ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტები პროექტის სამიზნე ჯგუფების პრობლემების მოგვარების მიზნით, შუამდგომლობას გასწევენ შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან. ჩვენი მიზანია, უმცირესობების უფლებებისა და გენდერული საკითხების მიმართ სახელმწიფო პოლიტიკა დაიხვეწოს და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოვიდეს. ადგილობრივი ტელევიზიები აქტიურად გააშუქებენ პროექტის ფარგლებში გამოვლენილ პრობლემებს.

არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRIDC) დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში.

➤ ადამიანის უფლებათა ცენტრის პრიორიტეტული სფეროებია:

- კანონის უზენაესობის გაძლიერება
- გამოხატვისა და მედიის თავისუფლების დაცვა
- თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის ხელშეწყობა
- გარდამავალი პერიოდის მართლმსაჯულების ხელშეწყობა
- დემოკრატიული პროცესების გაძლიერება

➤ საქმიანობები

საქართველოში ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების მონიტორინგი და დოკუმენტირება;

საქართველოში ადამიანის უფლებების სიტუაციის შესახებ ევროკავშირის, ევროსაბჭოს, ეუთოს, გაეროს, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის ანგარიშების რეგულარულად მიწოდება;

საკანონმდებლო და პოლიციის რეფორმების ლობირება და ადვოკატირება ეროვნულ და საერთაშორისო ინსტიტუტებთან;

ადამიანის უფლებების დარღვევების ფაქტებზე სასამართლო დავების წარმოება იურიდიული დახმარების ცენტრის უფასო მომსახურების გზით.

საქართველოში ადამიანის უფლებათა სიტუაციაზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ყოველდღიურად განახლებადი ორენოვანი ინტერნეტ გამოცემის www.humanrights.ge-სა და ვიდეო-პორტალის www.hridc.tv-ის საშუალებით.

ეროვნულ და რეგიონალურ დონეზე ადამიანის უფლებათა ორგანიზაციების ქსელური საქმიანობის საშუალებით.

➤ სად შეგიძლიათ მოგვმართოთ

ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტები ეთნიკური და რელიგიური ნიშნით დისკრიმინირებულ ადამიანებს, უფლებადარღვეულ ქალბატონებს უფასო იურიდიულ დახმარებას გაუწევენ ორგანიზაციის ოფისებში როგორც თბილისში, ასევე კახეთში - გურჯაანი, ქვემო ქართლში - რუსთავი. საჭიროების შემთხვევაში ორგანიზაცია უზრუნველყოფს თქვენს წარმომადგენლობას ადგილობრივ და ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოებში.

❖ კახეთის ოფისი

მისამართი: გურჯაანი, ნონეშვილის ქუჩა 14, მე-3 სართული
ელ-ფოსტა: gurjaani.hridc@gmail.com
ტელ: 0 (353) 22-50-70
მობილური: 599 22 86 52

❖ ქვემო ქართლის ოფისი

მისამართი: რუსთავი, მეგობრობის გამზირი 20, ბინა 27 (შესასვლელი ფალიაშვილის ქუჩიდან)
ელ-ფოსტა: Rustavi.hridc@gmail.com
ტელ: 0 (341) 25 00 69
მობილური: 599 500 652

❖ თბილისის ოფისი

მისამართი: 0160 თბილისი, მ.ქანთარია ქ 11ა. (ყოფილი გაგარინის 2 ჩიხი) III სართული
ტელ: (+995 32) 237 69 50; (+995 32) 245 45 33; (+995 32) 238 46 48
ფაქსი: (+995 32) 238 46 48
ელ-ფოსტა: hridc@hridc.org
ვებ-გვერდი: www.hridc.org ; www.humanrights.ge

ბროშურის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბროშურის შინაარსზე პასუხისმგებელია ადამიანის უფლებათა ცენტრი. ის არ ასახავს USAID, აშშ-ის მთავრობის ან აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის შეხედულებებს.

ქალების,
რელიგიური და ეთნიკური
უმცირესობების
უფლებების დაცვის
ხელშეწყობა საქართველოს
რეგიონებში



2016



USAID
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLoG)